13
ოქტომბერი
კვირა,
1963 წ.
№ 203 (2308)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საბჭოთა კალათბურთელები — ნახევარფინალში

★

ევროპის პირველობა კალათბურთში

★

ვროცლავში დამთავრდა ევროპის უძლიერეს კალათბურთელთა ჩემპიონატის პირველი ეტაპი — შეჯიბრებები ქვეჯგუფებში.

წინასწარი შეხვედრების უკანასკნელ ტურში ჩვენი კალათბურთელები შეხვდნენ ესპანელ სპორტსმენებს. ამ მატჩს საბჭოთა გუნდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან იგი წაგების შემთხვევაშიც კი გავიდოდა ნახევარფინალში. ამის მიუხედავად, საბჭოთა კალათბურთელებმა თამაში აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 106:64.

ნახევარფინალში გასვლისათვის (ამ ქვეჯგუფში) იბრძოდნენ პოლონელი და ჩეხი კალათბურთელები. გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა — 86:57. უფრო დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა იმ ქვეჯგუფში, სადაც თავმოყრილი იყვნენ იუგოსლავიის, უნგრეთისა და სხვა გუნდები. იუგოსლაველებმა დაამარცხეს რა უნგრელი კალათბურთელები, გავიდნენ ნახევარფინალში. აქ მეორე ადგილისათვის პრეტენზიას აცხადებდნენ უნგრელები და ბულგარელები. გაიმარჯვა უნგრეთის ნაკრებმა — 76:66.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონის სახელისათვის იბრძოლებენ სსრ კავშირის, იუგოსლავიის, პოლონეთისა და უნგრეთის გუნდები. გუშინ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები შეხვდნენ უნგრელებს, იუგოსლაველები — პოლონელებს. დღეს ფინალური მატჩია.

ცნობილია ყველა მონაწილე

საერთაშორისო ოსტატმა ს. ფურმანმა (ლენინგრადი) დამატებით მატჩში დაამარცხა ახალგაზრდა ოსტატი დონეცკიდან — ი. კოცი და მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება სსრ კავშირის XXXI პირველობაზე. უფრო ადრე ფინალისტებს შეუერთდა ახალგაზრდა როსტოველი სტუდენტი ა. ზახაროვი, რომელმაც გაიმარჯვა დამატებით მატჩში კიეველ ა. ბანიკთან და ლენინგრადელ ბ. ვლადიმიროვთან.

ამრიგად, უკვე ცნობილია ყველა ფინალისტი, რომლებიც 21 ნოემბერს ლენინგრადში ჩაებმებიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის ბრძოლაში.

აი ისინიც: გროსმაისტერები — ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი), დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), რ. ხოლმოვი (სოჭი), ლ. შტეინი (ლვოვი), ბ. სპასკი (ლენინგრადი), ი. ბონდარევსკი (ლენინგრადი), საერთაშორისო ოსტატები — ა. სუეტინი (მინსკი), ს. ფურმანი (ლენინგრადი), ა. გიპსლისი (რიგა), ვ. ბაგიროვი (ბაქო), ოსტატები ი. ნეი (ტალინი), ნოვოპაშინი (დნეპროპეტროვსკი), ა. ზახაროვი (როსტოვი), ა. გუფელდი (კიევი), ვ. ოსნოსი (ლენინგრადი) და ი. კლოვანი (რიგა).

ნახევარფინალებში გამარჯვებულ ამ თექვსმეტეულს შეუერთდებიან პერსონალურად მოწვეული გროსმაისტერები: მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, მსოფლიოს ექსჩემპიონი მ. ბოტვინიკი, სსრ კავშირის 962 წლის ჩემპიონი ვ. კორჩნოი და პ. კერესი. შესაძლოა კერესის ნაცვლად გამოვიდეს ოდესელი ე. გელერი.

სურათებზე: უკანასკნელ ვარჯიშს ატარებს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. (ქვემოთ) ჩვენი გუნდის მწვრთნელები კ. ბესკოვი და ა. სტაროსტინი ყურადღებით ადევნებენ თვალს წვრთნას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

დიდი მატჩი — ყურადღების ცენტრში

დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება ფეხბურთში ევროპის თასის გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი საბჭოთა კავშირისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის. გულშემატკივართა ინტერესმა ამ შეხვედრისადმი გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს. ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე დაგეგმილი იყო მოსკოვში 3.000 იტალიელი მოყვარულის ჩამოსვლა. მაგრამ უკანასკნელ ხანს ცნობილი გახდა, რომ ეს რიცხვი 2.000-ით გაიზარდა. 5.000 გულშემატკივრის იტალიიდან მოსკოვში გადმოყვანა არც თუ ისე იოლი ამოცანა იყო. ამიტომ საჰაერო ტრასაზე გავიდა საბჭოთა ლაინერი ტუ 104-ის მთელი კოლონა და იტალიის ავიაკომპანიის სატრანსპორტო თვითმფრინავთა ჯგუფი. არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. მაშინ მათ დახმარების ხელი გაუწოდეს საფრანგეთის, შვეიცარიისა და ბელგიის ავიაკომპანიებმა...

იტალიელ გულშემატკივართა სალაპარაკო თემას დღევანდელი მატჩი და მისი მოსალოდნელი შედეგი წარმოადგენს. ხმამაღლა ლაპარაკობენ სასტუმროებში, მეტროში, ქუჩაში და განსაკუთრებით, ჩვენი დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე, რომელიც ყველაზე მეტად იზიდავს მათ.

აქ არიან ჩვენი დღევანდელი მოწინააღმდეგენიც. იტალიის ნაკრების მწვრთნელ ე. ფაბრისთან ერთად იტალიის სპორტულ ღირსებას დაიცავენ მეკარეები — ნეგრი და ანზოლინი, მცველები — მალდინი, ფაკეტი, სალვადორე, იანიჩი, გუარნერი, ნახევარმცველები — ტრაპატონი, ტუმბურუსი, თავდამსხმელები — ორლანდო, ბულგარელი, სორმანი, მაცოლა, რივერა, კორსო და პასკუტი.

მათი ჩამოსვლისთანავე გაიმართა თავისებური პრეს-კონფერენცია. სიახლის მოყვარულმა კორესპონდენტებმა თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე ვთხოვეთ ინტერვიუ ფაბრისა და ზოგიერთ იტალიელ ფეხბურთელს.

ჩვენს პირველ კითხვაზე, რა შემადგენლობით აპირებენ იტალიელები მინდორზე სათამაშოდ გამოსვლას, ფაბრიმ ღიმილით გვიპასუხა:

— ჯერ მითხარით თქვენი გუნდის შემადგენლობა და მერე გეტყვით ჩვენს შემადგენლობას. — შემდეგ დასძინა, — ბიჭები სავსე არიან ენთუზიაზმით, დარწმუნებული ვართ, კარგად ჩავატარებთ მატჩს, შედეგს კი ვერ ვიწინასწარმეტყველებ, რადგან, როცა საბჭოთა და უნგრეთის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩს ვესწრებოდი, თქვენმა ნაკრებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ამას წინათ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა იტალიელებს გაუგზავნა იმ ბურთის ორი ნიმუში, რომლითაც დღეს ითამაშებენ მოწინააღმდეგენი და აი, ფაბრიმ კ. ბესკოვს ჩამოუტანა „კონდორის“ ფირმის ორი ბურთი. ეს ის ბურთებია, რომლითაც ამ გუნდებმა უნდა ითამაშონ მეორე მატჩი იტალიაში.

იტალიელებმა მოსკოვში პირველი ვარჯიში ჩაატარეს 11 ოქტომბერს. მოედანზე გამოვიდა 16 ფეხბურთელი და მწვრთნელი. ყველამ კუთხიდან კუთხემდე დაიარა მოედანი, ხელით, ფეხით, ბურთით გასინჯეს გულდასმით მინდორი (ეტყობა კმაყოფილნი დარჩნენ) და შეუდგნენ ვარჯიშს. მალე ორ გუნდად გაიყვნენ (8-8 კაცი). დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარებოდა იტალიელთა მორიგი ეშმაკობა. თავდამსხმელები გამოვიდნენ მცველთა მაისურებითა და პირიქით, ისე, რომ ძნელი იყო დადგენა, რომელი იყო მოსალოდნელი თავდამსხმელი დიდ მატჩში და რომელი მცველი. ორმხრივ თამაშს თვით ე. ფაბრი სჯიდა. იტალიელთა წვრთნამ ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ისინი თამაშობდნენ მსუბუქად, ტექნიკურად და, რაც მთავარია, ხალისით. რთულ ტექნიკურ ნომრებს ასრულებდნენ დიდი ხელოვნებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია რივერას, მაცოლას, ბულგარელის, ტრაპატონის, სორმანის, მალდინის, ორლანდოსა და ტუმბურუსის მაღალი კლასი.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ მოვიგონებთ, რომ რომის ოლიმპიადის შემდეგ ფაბრიმ ნაკრებიდან გარიცხა თითქმის ყველა მოწვეული (არგენტინელი, ბრაზილიელი და სხვ.) ფეხბურთელი, (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ წარმოშობით იტალიელი, წინათ ბრაზილიის მკვიდრი სორმანი) და ახალგაზრდა იტალიელებისაგან შექმნა კოლექტივი.

როცა იტალიელებმა ორმხრივი ვარჯიში მოათავეს, მწვრთნელმა მოედანზე დატოვა მეკარეები, აგრეთვე ორლანდო, მაცოლა, ტუმბურუსი და იანიჩი. კარში ხან ნეგრი იდგა, ხან ანზოლინი. ოთხეულს ე. ფაბრი ბურთს ხელით აწვდიდა ყველაზე მოუხერხებელ მდგომარეობაში და ისინი მაინც ახერხებდნენ კარში ზუსტად და ძლიერად დარტყმას.

იტალიელებმა ვარჯიში დაამთავრეს. კორესპონდენტთა ჯგუფმა მოვახერხეთ რამდენიმე ფეხბურთელის ხელში ჩაგდება, გაიმართა გულღია საუბარი, თავისებური კითხვა-პასუხის საღამო. სხვათა შორის, იტალიის გუნდის კაპიტანს ჩ. მალდინის ვკითხეთ, ტრავმის შემდეგ შეძლებს თუ არა იგი გამოვიდეს ამ მატჩში, როგორია მათი ტაქტიკა?

— ეს ორი კვირის წინ იყო. ისე რომ, ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ. რაც შეეხება ტაქტიკას, ეს მწვრთნელის საქმეა, მაგრამ მჯერა, რომ არ გადავუხვევთ ჩვენს ძირითად სქემას 4+2+4, სადაც ერთ-ერთი სტოპერი თავისუფალია და ნაყოფიერად ეხმარება როგორც დაცვას, ისე თავდასხმას. მიზანი? მივაღწიოთ ფრეს მოსკოვში, იქ, იტალიაში კი ვნახოთ... და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

ახლა ჩვენი გუნდის შესახებ. ერთი დღით ადრე საბჭოთა ნაკრებმა ჩაატარა ორმხრივი თამაში. I ნაკრებში გამოვიდნენ: ურუშაძე, დუბინსკი, ვორონინი, შესტერნევი, კრუტიკოვი, ლოგოფეტი, კოროლენკოვი, მეტრეველი, პონედელნიკი, მალაფეევი და მესხი. მეორე ნაკრებში თამაშობდნენ: იაშინი, კორნეევი, ჩისლენკო, გუსაროვი, ივანოვი, ჰუსაინოვი და სხვები. ეს იყო ნამდვილად საინტერესო მატჩი, გენერალური რეპეტიცია, რომელიც პირველი ნაკრების გამარჯვებით (2:1) დამთავრდა. მოედანზე ნამდვილად უძლიერესი იყო მეტრეველი, კარგი შთაბეჭდილება დატოვა ურუშაძის და სხვათა თამაშმა.

აი რა გვითხრა გუნდის მოსალოდნელი შემადგენლობის შესახებ ნაკრების მწვრთნელმა კ. ბესკოვმა: — იტალიელებთან მატჩში ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა ძირითადად პირველ გუნდს მიენდობა, მოსალოდნელია მხოლოდ 3-4 ფეხბურთელის შეცვლა.

ფიფას გადაწყვეტილებით მატჩს სჯის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ბრიგადა რ. ბანასიუკის, ვ. სტორონეკისა და მ. კოჩნერის შემადგენლობით.

ერთი სიტყვით, მოსკოვში ყველაფერი მზადაა დიდი მატჩისათვის,

ბ. ქორქია,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ნანა თაყაიშვილი — ინდოეთის ჩემპიონი

შეჯიბრებას უამრავი მაყურებელი ესწრებოდა. გამარჯვებულთა კვარცხბეკის უმაღლეს საფეხურზე პატარა, შავგვრემანი გოგონა იდგა დარცხვენით.

ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი რამიშვარად დაიალი გამარჯვებულს მიუახლოვდა, მამაშვილურად გადაკოცნა და სამი ოქროს მედალი კისერზე ჩამოჰკიდა. შემდეგ იქვე მდგომ შეჯიბრების მთავარ მსაჯს მიუახლოვდა, მაგრად ჩამოართვა ხელი და შვილის გამარჯვება მიულოცა.

ეს ამბავი ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქ ლუდიანაში მოხდა ამას წინათ. აქ ტარდებოდა ინდოეთის პირველობა ტანვარჯიშში. გოგონა, თბილისის 48-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ნანა თაყაიშვილი იყო, მთავარი მსაჯი კი — მისი მამა, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნიკოლოზ თაყაიშვილი.

ამ ორი წლის წინ ინდოეთში, პენჯაბის შტატის ქალაქ პატიალაში, დაარსდა სპორტის ნაციონალური ინსტიტუტი, სადაც სამუშაოდ მიიწვიეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სპორტის ოსტატი თორნიკე სანებლიძე. მან პირველმა მოამზადა და გამოუშვა ტანვარჯიშის სპეციალისტთა კადრები. ერთი წლის შემდეგ თ. სანებლიძე მისმა მეგობარმა —ნიკოლოზ თაყაიშვილმა შეცვალა. ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც თაყაიშვილის ოჯახი ინდოეთშია, მაგრამ ნიკოლოზმა უკვე ბევრი რამის გაკეთება მოასწრო: გამოუშვა სპეციალისტთა მორიგი ნაკადი, ავარჯიშებს ტანმოვარჯიშე ვაჟთა და ქალთა ნაკრებ გუნდებს, გამოცდილებას უზიარებს ინდოეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულ სპეციალისტებს. გასაზიარებელი კი ბევრი რამ აქვს საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს.

13 წლის ნანა პირველ ხანებში მოწყენილი იყო. შემდეგ კი მასსავით შავგვრემან გოგონებს დაუახლოვდა და მათთან ერთად მამის ხელმძღვანელობით დაიწყო ვარჯიში. თავისუფალ დროს საცურაო აუზში ატარებდა. მოკლე ხანში, ნანამ სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო, ყველაზე მეტად მამა იყო გაკვირვებული. ნანას თბილისში არასდროს უვარჯიშია, მას უფრო ცურვა იზიდავდა. ბუნებრივმა მონაცემებმა და მუყაითმა შრომამ ნაყოფი გამოიღო.

პენჯაბის შტატის პირველობაზე 38 ქალი მონაწილეობდა. ინდოეთში დიდები და მოზარდები ერთნაირი ვარჯიშებით გამოდიან. პატარა ნანამ საერთო პირველი ადგილი დაიკავა; ჯილდოდ ვერცხლის თასი და დიპლომი მიიღო. პირველმა გამარჯვებამ აღაფრთოვანა ნანა. სულ ცოტა ხნის შემდეგ, ქ. პატიალაში პენჯაბის შტატის პირველობა ჩატარდა ცურვაში. ნანამ თავისი ძალები ცურვაშიც სცადა. დასაწყისში ცოტა არ იყოს შეშინდა, როდესაც უამრავი მონაწილე დაინახა. მსაჯის ნიშანზე ნანაც გადაეშვა წყალში. თავდავიწყებით მიარღვევდა წყალს და როდესაც ფინიშის კედელს შეეხო, პირველი, რაც მან დაინახა, ეს დედის გაბრწყინებული თვალები იყო. ამ დღეს ნანა სამჯერ ავიდა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე: ბატერფლაის სტილით ცურვაში პირველი, ხოლო კროლში და ზურგზე ცურვაში მეორე ადგილები დაიკავა. ასეთი იყო ნანას ერთი დღის სპორტული ნადავლი. ჯილდოდ კი ვერცხლის თასი და ნაციონალური ორნამენტით მოვარაყებული გვირგვინები მიიღო.

მეორე დღეს ქ. პატიალას თითქმის ყველა გაზეთმა აღნიშნა ნანას გამარჯვების ამბავი. დრო სწრაფად გადიოდა. დარბაზში ვარჯიშსა და აუზში ცურვას ნანა ინგლისურის სწავლას უთავსებდა.

პენჯაბის შტატის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი დიდი შეჯიბრებისათვის ემზადებოდა. დადგა სანატრელი დღეც. ქ. ლუდიანაში გამგზავრების წინ ნანა ქალთა ნაკრები გუნდის კაპიტნად აირჩიეს. პენჯაბის შტატის ქალთა ნაკრები გუნდი, პირველად ინდოეთის ისტორიაში, გრძელი შარვლების ნაცვლად მოკლე სპორტული ტრუსებით გამოვიდა. ამაში კი, ნანას მიუძღოდა „ბრალი“.

ლუდიანაში უამრავ მაყურებელს მოეყარა თავი. ნანა, როგორც ყველაზე პატარა წლოვანებითაც და სიმაღლითაც, ალლუმზე გამოსულ ქალთა შორის სულ ბოლოს იდგა. მაგრამ დამთავრდა შეჯიბრება და შავგვრემანი გოგონა ყველაზე მაღლა და ყველაზე წინ დააყენეს. ხელები თასითა და თაიგულებით ჰქონდა სავსე, კისერზე კი სამი ოქროს მედალი უბრწყინავდა. ნანამ აბსოლუტური პირველობა და სამ იარაღზე ჩემპიონობა მოიპოვა.

ინგლისურ და ინდურ ენებზე გამოსულ გაზეთებსა და ჟურნალებში მრავლად დაიბეჭდა ნანას სურათები. ერთ-ერთმა გაზეთმა თაყაიშვილების მთელი ოჯახის ფოტოსურათი და ბიოგრაფიაც კი გამოაქვეყნა.

გ. ყირმელაშვილი
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — თაყაიშვილების ოჯახი — ნიკოლოზი, ნანა და ტატიანა — ინდოეთში. ქვევით — ნანა თაყაიშვილი გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

„აბიჯეთ ალპინისტებო, მთა გველის ყინულიანი“



ი. კაზალიკაშვილი

აღვნიშნავთ საბჭოთა ალპინიზმის 40 წლისთავს

კოტე ჯაფრიშვილი

★

საქართველოს და საერთოდ, საბჭოთა კავშირის მთასვლური მოძრაობის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იაგორ კაზალიკაშვილს. 1923 წლიდან, როდესაც იგი პირველი საბჭოთა ასვლის მონაწილე გახდა მყინვარწვერზე და არა მარტო მონაწილე, არამედ მისი მეგზური, სიკვდილამდე (1935 წელს გარდაიცვალა) იაგორა ქართველ მთასვლელთა მრავალი ექსპედიციის უცვლელი მონაწილე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მყინვარწვერზე პირველი საბჭოთა ასვლის დროს იაგორა უკვე 41 წლის იყო და საკმაოდ დუხჭირი ცხოვრებაც ჰქონდა გამოვლილი (დევდორაკის მაღაროებში მუშაობა, მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის ფრონტზე ბრძოლა), მაინც ახალგაზრდული ენთუზიაზმით ეხმაურებოდა ყოველ ახალ ალპინისტურ საქმეს და უშუალოდ მონაწილეობდა უძნელეს ასვლებში. 1930 წელს იგი მონაწილეობდა სიმონ ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ასვლაში თეთნულდზე. ამის გამო ალიოშა ჯაფარიძე წერდა:

„... მიუხედავად მრავალი სამსახურებრივი და ოჯახური ხასიათის დაბრკოლებისა, იაგორა ჩამოვიდა ყაზბეგიდან თბილისში ჯგუფთან შესაერთებლად. მან გაასალკლდევა ჯგუფის რწმენა და იმედი დასახული მიზნის მიღწევისა. თვით მსვლელობის დროს, როგორც თეთნულდზე, ისე უშბაზე, იაგორა იჩენდა მაღალმთიანი ბუნებისადმი საუკეთესო და იშვიათ დაინტერესებას, სიფხიზლესა და გამოცდილებას... კარგი მთასვლელისათვის საჭირო თვისებების გარდა, რითაც ყველასათვის ცნობილია იაგორა, მას ახასიათებს იშვიათი კეთილშობილება და ბუნებრივი კულტურული სიმაღლე. თავისი ადამიანური თვისებების წყალობით იაგორა არა მარტო მათში იწვევს ღრმა მეგობრულ გრძნობას, ვისთანაც ის თანამგზავრობს, არამედ მათშიაც, ვისაც ის ხვდება თავისი მოგზაურობის დროს...“

იაგორას ალპინისტური მოღვაწეობა დაიწყო 1907 წელს, როდესაც იგი პირველად ავიდა მყინვარწვერზე, ჯერ კიდევ, როგორც ცნობილი ქისტი გამყოლის ისაკ ბეზურთანოვის შეგირდი მთასვლაში. მას აქეთ იგი მრავალჯერ ახლდა უცხოელ და რუს მთასვლელებს მყინვარწვერზე. მონაწილეობდა აგრეთვე მყინვარწვერის ცნობილი მკვლევარის ანდრეი დუხოვსკის გეოლოგიურ და გლაციოლოგიურ კვლევა-ძიებაში და ყაზბეგის ყველა მყინვარები მოიარა. ამ წლებმა დიდი გამოცდილება შესძინეს და როდესაც გიორგი ნიკოლაძემ განიზრახა მყინვარწვერზე ასვლა — ცხადია, პირველი საბჭოთა ექსპედიციის მეგზურობა იაგორას ხვდა წილად. ამგვარად, იაგორა კაზალიკაშვილი და მისი უფროსი თანამედროვე გახა წიკლაური საბჭოთა მთასვლელების პირველი მასწავლებლები არიან.

იაგორას უმოგზაურია მრავალ ქართველ მთასვლელთან ერთად. იგი განუყრელი თანამგზავრი იყო სიმონ ჯაფარიძისა, გაიზიარა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების უშბაზე პირველი საბჭოთა ასვლის დამსახურება, იოსებ ასლანიშვილთან ერთად მოიარა მთიანი რაჭა და აფხაზეთი, სვანეთი, უვლია შოთა მიქელაძესთან, კაკო მართან, დავით ფურცელაძესთან, ლევან მარუაშვილთან ერთად. ყველა ამ მთასვლელის მოგონებებში ჩვენს წინაშე დგება მეტად საინტერესო და მიმზიდველი სახე ადამიანისა, რომლის მთელი სიცოცხლე მთებს მიეძღვნა.

განსაკუთრებით შესანიშნავია იაგორას მონაწილეობა ალიოშა ჯაფარიძესთან, ალექსანდრა ჯაფარიძესთან. გიო ნიგურიანთან ერთად უშბაზე — ეს ასვლა საეტაპო იყო საბჭოთა ალპინიზმის განვითარებაში. ალ. ჯაფარიძე განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა 52 წლის იაგორას, თუმცა ამსვლელთა ოთხეულიდან ძნელია გამოყო თუ ვის მიუძღვის მეტი დამსახურება წარმატებაში. ალ. ჯაფარიძე წერს: „დავიწყეთ ასვლა ყველაზე უფრო ციცაბო და სახიფათო ყინულის კედელზე. საარაკო იყო აქ იაგორა. უნდა გენახათ, როგორი გატაცებით დაიწყო მან საფეხურების ჭრა და გაეშურა წინ იმ რწმენით, რომ მწვერვალი უკვე ჩვენს ხელთ იყო. საერთოდ, გვაოცებს ამ კაცის ბუნება, მისი ზნეობრივი და ფიზიკური სიმდიდრე“. თვითონ იაგორა მეტად შთამაგონებლად და გულწრფელად აღწერს უშბაზე ასვლას. თავის პოემაში იგი უმთავრესად თავისი ამხანაგების ვაჟკაცობას უმღერის.

გამედგრდა ნიგურიანი,
ფერი დაედვა მგლისანი,
გამეხდა ჯაფარეული
გული ჰქონია ქვისანი.
არც მე ვარ გამოუცდელი,
გული ვიცანი მტრისანი.
ასე ავედით ფიქარზე,
როგორც, რომ ჯიხვი კლდისანი.
შემოვადექით უშბასა
ყველა ფეხ წრიაპიანი,
არ უვარდება ვაჟკაცებს
ქალი ქართველი. თმიანი.
მივდივართ, გვიფრიალებდა
ჩოხის კალთებსა ნიავი.
ავედით, კიდეც ვიკვეხით
ჩვენი რომ გითხრათ სიავი“.

იაგორას მთასვლურ „ნადავლს“ მყინვარწვერზე სხვადასხვა გზით და სხვადასხვა გარემოებაში 32-ჯერ ასვლა შეადგენდა. იგი ასე აჯამებდა თავის მთასვლურ მოღვაწეობას:

„რვასა მთაზე ვარ ასული
რვასა მთაზედა რებული:
მარუხ, ლაკობა, ერწახვი
იალბუზ სახელდებული
ოსეთში ადაი-ხოხი
შიგ შუა მთაში დებული,
ყინვარწვერი და თეთნულდი,
ერთაც უშბაი ქებული“.

შეიძლება ითქვას, რომ ოცდაათიანი წლების დასაწყისში იგი ყველაზე გამოცდილი საბჭოთა მთასვლელი იყო. ალ. ჯაფარიძე წერდა: „იაგორა უკვე ოც წელზე მეტია დაინტერესებულია მაღალი მთებით და ეწევა მთასვლურ მოღვაწეობას. ასვლათა რაოდენობის მხრივ მას უდავოდ პირველი ადგილი ეკუთვნის საქართველოში და საერთოდ საბჭოთა კავშირის მთასვლელთა შორის“.

დიდი მოქალაქეობრივი შეგნებისა და მაღალი ბუნების მოხევე, საბჭოთა ალპინისტური მოძრაობის ერთ-ერთი დამწყები და მოწინავე გახდა. დღესაც, როგორც მოწოდება, გაისმის მისი „ალპინისტური მარშის“ ხალისიანი სიტყვები:

„აბიჯეთ ალპინისტებო,
მთა გველის ყინულიანი“.

მთები, წვერები, მწვერვალები...

„სოვეტსკი სპორტი“
№ 9

დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ კინოთეატრების ეკრანებზე გამოუშვა კინოჟურნალ „სოვეტსკი სპორტის“ მორიგი, მეცხრე ნომერი (რეჟისორი კ. ეგერსი).

კინოჟურნალი იხსნება ნარკვევით „პავლოვსკის სტანიცაში“, რომელიც ეხება ყუბანის სოფლის ფიზკულტურელთა ცხოვრებას. მაყურებელი გაეცნობა ყუბანის სტანიცის უძლიერეს სპორტსმენებს.

მაყურებელი ნახავს კინოჩანახატს „მთები მამაცებს უხმობენ“, რომელიც ალპინიზმს ეხება. ალპინიზმი ყოველწლიურად სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს პოულობს საბჭოთა კავშირში.

მოთხილამურეთა და მოციგურეთა მომზადებას ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიადისათვის ეძღვნება სიუჟეტი „ოლიმპიელები ემზადებიან“.

კინოჟურნალ „სოვეტსკი სპორტის“ მეცხრე ნომერში მოთავსებულია აგრეთვე სიუჟეტები ამხანაგურ შეხვედრაზე ძიუ-დოში იაპონელ და საბჭოთა სპორტსმენებს შორის და ევროპის ჩემპიონატის გათამაშებაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა შორის, რომელიც ხიმკის წყალსაცავზე გაიმართა და საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით აღინიშნა ყველა დისტანციაზე.

მერვედფინალის მონაწილენი	მერვედფინალური მატჩების თარიღები და შედეგები		
ესპანეთი ჩრდ. ირლანდია	ბილბაო ბელფასტი	30/V 30/X	1:1
დანია ალბანეთი	კოპენჰაგენი ტირანა	29/VI 30/X	4:0
ავსტრია ირლანდია	ვენა დუბლინი	25/IX 13/X	0:0
გდრ უნგრეთი	ბერლინი ბუდაპეშტი	20/X 3/XI	
იტალია სსრ კავშირი	რომი მოსკოვი	10/XI 13/X	
ლუქსემბურგი ჰოლანდია	როტერდამი ამსტერდამი	30/X 11/IX	 1:1
შვეცია იუგოსლავია	მალმე ბელგრადი	18/IX 19/VI	3:2 0:0
ბულგარეთი საფრანგეთი	სოფია პარიზი	29/IX 27/X	1:0

ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის თასის გათამაშება

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ევროპის თასის გათამაშება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებაში. მართალია, ანალოგიური ტურნირი ტრადიციულად ტარდება სამხრეთ ამერიკაშიც, მაგრამ ევროპაში მას გაცილებით უფრო ორგანიზებული ხასიათი და ფართო მასშტაბები აქვს.

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა ეს დიდი შეჯიბრება წელს მეორედ ტარდება. პირველი გათამაშება, როგორც ცნობილია, მოეწყო 1960 წელს და დამთავრდა სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით.

დღეს, როცა მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე თასის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩია სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის, ინტერესმოკლებული არ იქნება გადავავლოთ თვალი მონაწილე გუნდების მდგომარეობას და გათამაშების მსვლელობას პირველივე ტურიდან.

სულ უეფა-ს საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე შემოტანილი იყო 29 განაცხადი. ამ სიის მიხედვით მოხდა კენჭისყრაც, მაგრამ საბერძნეთმა უკანასკნელ მომენტში უარი თქვა თამაშზე და ამის მოხებით ალბანეთის გუნდმა უბრძოლველი ვიზა მიიღო მეორე წრეში სათამაშოდ. პრეტენდენტთა რაოდენობა დავიდა 28-მდე.

გათამაშება გახსნეს დანიისა და მალტის ფეხბურთელებმა. დანიელებმა ადვილად მოუგეს მოწინააღმდეგეს ორივე მატჩი (6:1 და 3:1) და გავიდნენ თასის შემდგომ ეტაპზე, სადაც მათი მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ სწორედ ის იღბლიანი ალბანელები, რომლებსაც ადრე უნდა ეთამაშათ საბერძნეთთან. დანიის ნაკრებმა კოპენჰაგენში სავსებით იოლად მოუგო მეტოქეს (4:0) და სულ მალე განმეორებითი მატჩი უნდა ჩაატაროს მოწინააღმდეგის სტადიონზე, ტირანაში.

დიდი ხმაურით შეუდგა შეჯიბრებას ესპანეთის განახლებული ნაკრები. მისი პირველი მატჩი რუმინეთთან ცალ კარში თამაშს ჰგავდა — 6:0, მაგრამ მეორე შეხვედრაში რუმინელებმა შეძლეს რევანშის აღება, თუმცა ეს იყო არასრული რევანში — 3:1. ესპანელები გამარჯვებულნი აღმოჩნდნენ და მეორე წრეში შეხვდნენ ჩრ. ირლანდიის გუნდს, რომელმაც ძალზე ძლიერად ჩაატარა ორივე შეხვედრა პოლონელებთან და ორივე მოიგო ერთნაირი ანგარიშით — 2:0.

ესპანელთა მთელი იმედები დამყარებული იყო პირველ მატჩზე, ვინაიდან იგი საკუთარ სტადიონზე იყო დანიშნული ბილბაოში, ესპანელთათვის კი საკუთარი მინდორი ძალზე ბევრ რამეს ნიშნავს და აი აქ, სწორედ ბილბაოში წაიტეხეს ფეხი მასპინძლებმა. ჩრ. ირლანდიის ნაკრებმა წარმოუდგენელი ენერგიით და თავგამოდებით ითამაშა და მიაღწია სანუკვარ ფრეს — 1:1. ახლა იგი გარკვეული პერსპექტივით ელის მოწინააღმდეგეს ბელფასტში.

ევროპის თასის გათამაშების პირველ წრეში ავსტრია თავისუფალი იყო კენჭისყრით. ამასობაში მისმა მომავალმა მეტოქემ — ირლანდიამ „პროგრამით გათვალისწინებული“ 3 ქულა აიღო ისლანდიასთან (4:2, 1:1) და გავიდა მერვედფინალში. 25 სექტემბრის მატჩი ვენაში ავსტრიასა და ირლანდიას შორის დამთავრდა ფრედ — 0:0 და ეს ერთი ქულა ირლანდიელებს ერთობ საიმედო პერსპექტივას უქმნის თავიანთ დედაქალაქში — დუბლინში. ეს მატჩი უნდა შედგეს დღეს.

თასის გათამაშების მთავარი სიურპრიზის ავტორები არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები. რა თქმა უნდა, არც ერთ პროგნოზის ავტორს არ შეეძლო წარმოედგინა ის, რომ გერმანელები დაამარცხებდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს — ჩეხოსლოვაკიის გუნდს. მაგრამ ეს ასე მოხდა: ერთი მოგება (2:1) და ერთი ფრე (1:1) სრულიად საკმარისი აღმოჩნდა სენსაციისათვის. ახლა გერმანელებს მერვედფინალში არანაკლებ მრისხანე მეტოქე ჰყავთ. ესაა უნგრეთის ნაკრები, რომელმაც ასევე 3 ქულა აიღო უელსის გუნდთან შეხვედრაში (3:1, 1:1).

მომდევნო მერვედფინალურ წყვილს ქმნიან ლუქსემბურგისა და ჰოლანდიის გუნდები. მათი გზა გათამაშების ამ ეტაპისაკენ ერთნაირი არ იყო. ლუქსემბურგს იგი გაუკაფა კენჭისყრამ, ხოლო ჰოლანდიელებს ორჯერ მოუხდათ თამაში შვეიცარიის გუნდთან, რაც საბოლოოდ დამთავრდა მათი გამარჯვებით (3:1, 1:1). პირველი მატჩი ჰოლანდიელებმა ლუქსემბურგთან საკუთარ მინდორზე დაამთავრეს ფრედ — 1:1 და ოქტომბრის დასასრულს მოწინააღმდეგეს უნდა ესტუმრონ როტერდამში. ეს იქნება ძნელი მატჩი ორივე მოწინააღმდეგისათვის.

ერთადერთი გუნდი, რომელსაც უკვე აქვს გარანტირებული მეოთხედფინალში თამაში, ესაა შვეცია. შვედებმა 3 ქულა აიღეს ნორვეგიასთან შეხვედრებში (2:0, 1:1)), ხოლო იუგოსლაველებმა ორჯერ დაამარცხეს ბელგია — 3:2, 1:0. ამ ორი მეტად ძლიერი გუნდის პირველი თამაში ბელგრადში აშკარად წარუმატებელი აღმოჩნდა მასპინძელთათვის, ვინაიდან იგი დამთავრდა ფრედ — 0:0. შვედებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება მალმეში (3:2) და მეოთხედფინალში შედგეს ფეხი.

პირველი წრის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრობლემატურ და ძლიერ წყვილს წარმოადგენდნენ ინგლისისა და საფრანგეთის გუნდები, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ეს დიდი დავა ადვილად გადაწყდა ფრანგების სასარგებლოდ, რომლებმაც ფრედ დამთავრებული პირველი მატჩის შემდეგ (1:1) შეძლეს გამარჯვების მოპოვება (5:2) და გათამაშებიდან გამოთიშეს გუნდი, რომელიც თასის ძირითად პრეტენდენტად მიაჩნიათ.

ასეთივე დიდი წარმატება ხვდათ წილად ბულგარეთის ფეხბურთელებს. მათი მოწინააღმდეგე იყო პორტუგალიის ნაკრები და მათ შორის ჩატარებული ორი შეხვედრის შემდეგ მდგომარეობა აბსოლუტურად თანაბარი აღმოჩნდა — 3:1, 1:3. დამატებითმა მატჩმა მინიმალური ანგარიშით გამარჯვება მოუტანა ბულგარელებს — 1:0, რომლებმაც 29 სექტემბერს თავიანთ მინდორზე, სოფიაში მიიღეს საფრანგეთის ნაკრები. ბულგარელებმა აქაც საუკეთესო თამაში აჩვენეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 1:0. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ითამაშებენ საფრანგეთისა და ბულგარეთის გუნდები პარიზში. მატჩი დანიშნულია 28 ოქტომბერს.

დაბოლოს, ჩვენი დღევანდელი მოწინააღმდეგის — იტალიის შესახებ. იტალიელებს პირველ წრეში კენჭისყრამ მოწინააღმდეგედ არგუნა თურქეთის გუნდი. ახლა იტალიური ფეხბურთი ამჟამად აშკარა რენესანსის გზაზე დგას და ამიტომ თურქების დამარცხება ორივე შეხვედრაში (6:0, 1:0) მოულოდნელობას არავისთვის არ წარმოადგენდა.

სსრ კავშირის გუნდი, როგორც თასის მფლობელი, პირველ წრეში თავისუფალი იყო. ამიტომ მისი დღევანდელი მატჩი იტალიასთან ევროპის თასის მეორე გათამაშებაში დებიუტს წარმოადგენს.

ჩვენს მიერ მოყვანილი ცხრილი ნათელ სურათს იძლევა გათამაშების მერვედფინალური ეტაპისათვის.

ბ. ბარბაქაძე

• • •

ამ სურათზე აღბეჭდილია იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ს. მაცოლა (შუაში), როცა იგი ორ მოწინააღმდეგეს შორის აძვრება [illegible]

საქართველოს პირველობა

გაიმართა გამოტოვებული მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

„ისანი“ (თბილისი)—„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 1 : 1. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

პირველი ნახევარი მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში. ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ჰქონდა ორივე კოლექტივს, მაგრამ ფეხბურთელებისათვის მიზანი მიუღწეველი რჩებოდა, რადგან დარტყმები არაზუსტი იყო. შესვენების შემდეგ რკინიგზელებმა კარგად ისარგებლეს თბილისელი მეკარის შეცდომით და გახსნეს ანგარიში. მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე სამტრედიელები დაჯარიმდნენ 11-მეტრიანით. ანგარიშის გათანაბრების ეს საშუალება კარგად გამოიყენეს მასპინძლებმა — 1:1.

„ცისკარი“ (ცხაკაია) — „წინსვლა“ (წულუკიძე) — 3 : 1. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო, ისინი უფრო ტექნიკურად და სწრაფად ამუშავებდნენ ბურთს და შესვენებამდე ერთი გოლის გატანა შეძლეს მოწინააღმდეგის კარში. მეორე ნახევარში ცხაკაიელები ხშირად ახერხებდნენ წულუკიძელთა საჯარიმო მოედანში შეღწევას, გაიტანეს კიდევ ორი გოლი, ხოლო საკუთარ კარში მიიღეს ერთი და გაიმარჯვეს — 3:1.

„დინამო“ (სოხუმი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 0:2. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

თბილისელთა ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად შესვენებამდე დინამოელთა კარი ხელშეუხებელი დარჩა. სამაგიეროდ, თამაშის განახლების შემდეგ სტუდენტებმა რამდენიმე მწვავე მომენტი შექმნეს სოხუმელთა კართან და 59-ე წუთზე დვალმა ანგარიში გახსნა. გატანილმა გოლმა გამოაფხიზლა დინამოელები, ისინი დიდხანს უტევდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. უკანასკნელ წუთზე სოხუმელებმა მეორე ბურთი მიიღეს და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი — 0 : 2.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „დილა“ (გორი) — 0 : 0. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გორელებისათვის, მოგების შემთხვევაში მათ ფინალურ ხუთეულში გასვლის შანსი ჰქონდათ. ამან განაპირობა შეხვედრის სიმწვავე. თამაში მიმდინარეობდა სწრაფ ტემპში, საინტერესოდ, მაგრამ შესვენებამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე წესის დარღვევისათვის მოედნიდან იქნა გაძევებული გორელი რ. ტყემალაძე, რის გამო მეორე ნახევარში „დილას“ 10 ფეხბურთელით უხდებოდა თამაში. რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად გორელები კვლავ აღმავლობით თამაშობდნენ, მაგრამ ამაოდ. მოწინააღმდეგეებმა გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს — 0 : 0.

„წინსვლა“ (წულუკიძე) — „მერცხალი“ (მახარაძე) — 1 : 1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

შეხვედრა დაიწყო ორმხრივი იერიშებით. მახარაძელები წარმატებით იყენებდნენ სწრაფ გარემარბებს და გაშლილი ფრონტით უტევდნენ მოწინააღმდეგეს და მე-14 წუთზე მიაღწიეს წარმატებას — 1:0. შესვენების შემდეგ წულუკიძელები გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე და ანგარიშიც გაათანაბრეს. მოწინააღმდეგეები თითო ქულას დასჯერდნენ.

„სინათლე“ (თბილისი)—ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 0:1. მსაჯი ი. ბოჟორაძე (თბილისი).

პირველ ნახევარში „სინათლის“ თავდამსხმელებმა შექმნეს არაერთი საგოლე მომენტი, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები არ იყო ზუსტი. შემდეგ თამაში გათანაბრდა და სტუდენტებმა ანგარიში გახსნეს. „სინათლის“ ფეხბურთელებში თავი იჩინა ნერვიულობამ, რაც შემდეგ უხეშობაში გადაიზარდა. უდისციპლინობისათვის მოედნიდან იქნა გაძევებული ს. ნაროზაშვილი („სინათლე“). მალე მას გვერდი დაუმშვენეს ა. შუმაკოვმა (ინსტიტუტი) და დ. მეტრეველმა („სინათლე“), რის შემდეგ მატჩმა, რომელიც მიმდინარეობდა მსაჯთან გაუთავებელ კამათში, დაკარგა ინტერესი.

„სინათლის“ გუნდის კაპიტანი ვ. გვიმრაძე, იმის ნაცვლად, რომ მსაჯს დახმარებოდა მოედანზე წესრიგის აღდგენაში, თავის უტაქტო გამოსვლებით კიდევ უფრო აღიზიანებდა ფეხბურთელებს. ამგვარი მოქმედება არ ეპატიება ისეთი ტრადიციების მქონე გუნდს, როგორიც „სინათლეა“. ვფიქრობთ გუნდი და მისი ხელმძღვანელობა სათანადო დასკვნებს გააკეთებს აღნიშნულიდან.

• • •

იმის გამო, რომ სოხუმის „დინამომ“ უკანასკნელ კალენდარულ მატჩში არ მიიღო სამტრედიის „ლოკომოტივი“ სოხუმელებს ჩაეთვალათ დამარცხება.

• • •

თბილისში, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა მატჩი ფეხბურთში გორის „დილას“ და ცხაკაიას „ცისკარს“ შორის. საქართველოს პირველობაზე ამ კოლექტივებს ქულათა თანაბარი რაოდენობა (31-31) აღმოაჩნდათ, ამიტომ ამ დამატებითი მატჩს უნდა გამოევლინებინა ქვეჯგუფის მეხუთე ფინალისტი. მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ცხაკაიელებმა ორი ბურთი გაიტანეს გორელთა კარში, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და მოიპოვეს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

სპორტული სამყარო ემზადება ტოკიოს ოლიმპიადისათვის

სურათზე: საფრანგეთის ოლიმპიური იმედი ქალთა შორის ცურვაში კ. კარონი (მარჯვნივ) იაპონურ კიმონოში გამოწყობილი პარიზის იაპონურ ბალში ესაუბრება იაპონელ მეგობარს კ. ნაკამურას.

პატარა ფრანგის დიდი მიზნები

ამას წინათ საფრანგეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე წამსვლელ მოცურავეთა სიაში შეყვანილია 15 წლის ევროპის რეკორდსმენი კ. კარონი. თუ ერთი წლის წინათ ამ გოგონას ვინმე ჰკითხავდა, აქვს თუ არა ტოკიოში წასვლის იმედი, უარყოფით პასუხს მიიღებდა, მაგრამ შემდგომ იმდენად გაიზარდა მისი სპორტული მაჩვენებლები, რომ ახლა ეჭვს აღარ იწვევს კ. კარონის წასვლა ამომავალი მზის ქვეყანაში.

კ. კარონი დაიბადა 1948 წლის 10 ივლისს. ცხოვრობს პარიზის გარეუბანში, სწავლობს ლა ფონტენის ქალთა ლიცეუმში. როცა ცნობილი გახდა მისი ოლიმპიურ ნაკრებში შეყვანა, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გაზეთ „იუმანიტეს“ ყოველკვირეულმა დამატებამ „იუმანიტე-დიმანშმა“ მოაწყო იაპონური დღე. გოგონას შეხვედრაზე აჩუქეს იაპონელთა ნაციონალური კოსტუმი—კიმონო, გააცნეს პარიზის იაპონური ბალი, იაპონური საჭმელები, პარიზში მცხოვრები იაპონელები. ეს იყო ერთგვარი აკლიმატიზაცია.

კ. კარონი ცურვას ეზიარა, როცა იგი 10 წლისა იყო. მან 1962 წლის 11 მარტს მოიპოვა პირველი დიდი წარმატება — გააუმჯობესა საფრანგეთის გოგონათა რეკორდი. მაშინ მან 100 მ. ზურგზე გაცურა 1.16,7-ში. რამდენიმე თვის შემდეგ კ. კარონი მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონატში. მართალია, ამჯერად დიდი წარმატება არ მოუპოვებია, მაგრამ სათანადო გამოცდილება შეიძინა. მიმდინარე წლის 15 ივლისს მან ახალი შესწორება შეიტანა საფრანგეთის რეკორდების ცხრილში — 100 მ ზურგზე 1.11,0-ში გაცურა და დაიწყო სამზადისი ევროპის რეკორდის გასაუმჯობესებლად. რამდენიმე დღის შემდეგ, 23 ივლისს დაეცა ევროპის რეკორდიც.

სექტემბერში საფრანგეთის ოლიმპიური გუნდის იმედმა ახალ წარმატებას მიაღწია. პარიზში გამართულ შეჯიბრებაზე კ. კარონმა 200 მ ზურგზე გაცურა 2.31,1-ში და დაამყარა კონტინენტის რეკორდი.

გ. გიგიტაშვილი

გადამწყვეტი ბურთის ავტორი

უნგრეთის ოლიმპიური ნაკრები ფეხბურთში სამართლიანად ითვლება ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ ფავორიტად. გუნდს წვრთნის ლაკატი, მაგრამ მისადმი ყოველდღიური მზრუნველობა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელის ბაროტის მოვალეობასაც შეადგენს. უნგრეთის ოლიმპიური ნაკრები დაკომპლექტებულია ნიჭიერი, მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე ჯერჯერობით ნაკლებად ცნობილი ახალგაზრდა ოსტატებით. მათ ძალაზე მეტყველებს ბევრად უფრო გამოცდილი შვედი ოლიმპიელების დამარცხება (4:0), მოგება (1:0) საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებთან.

უნგრეთის ნამდვილი „ვარსკვლავი“ ჭეშმარიტი საფეხბურთო „ვუნდერკინდი“ ფერენც ბენე. იგი დაიბადა 1944 წ. 17 დეკემბერს, მაგრამ უკვე აქვს საერთაშორისო კლასის ფეხბურთელის სახელი. ორი წლის წინ გიმნაზიის მოსწავლემ ბენემ დაიწყო თამაში მესამე ლიგაში, სადაც ნამდვილი ფურორი მოახდინა. 1962 წლის სეზონისათვის იგი უნგრეთის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „დოჟაში“ (უიპეშტი) გადაიყვანეს, სადაც მაღალ შედეგებს მიაღწია.

ბენეს ასეთმა წარმატებებმა ბაროტის საფუძველი მისცა გამოეყვანა პირველ ნაკრებში 1962 წ. 14 ოქტომბერს იუგოსლავიის ნაკრებთან მატჩში. ამ მატჩში უნგრელებს აკლდათ შანდორი, ალბერტი და ტიხი, რის გამოც მარცხი განიცადეს. ბენემ, რომელიც შანდორს ცვლიდა, მარჯვენა ფრთაზე საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ სპეციალისტების აზრით მისი ადგილი მაინც ცენტრფორვარდის პოსტია, სადაც იგი არ ჩამოუვარდება ალბერტს, რომელიც მასზე სამი წლით უფროსია.

წელს ბენემ კიდევ ერთხელ შეცვალა ტრავმირებული შანდორი პრაღაში (2:2) ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან. შემდეგ იგი ოლიმპიურ ნაკრებში ჩაირიცხა, ხოლო 22 სექტემბერს საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებთან შეხვედრაში გაიტანა ბურთი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ოლიმპიური თამაშების შემდეგ, მწვრთნელთა აზრით ბენემ ცენტრფორვარდის ადგილი უნდა დაიკავოს უნგრეთის პირველ ნაკრებში.

ოლიმპიური ცეცხლი და მყრალი ბოლი

ოლიმპიური ჩირაღდანი — ჩვენი პლანეტის სპორტსმენთა მშვიდობის, მეგობრობის ურთიერთგაგების სიმბოლო — შესანიშნავი ემბლემაა სპორტული ჟურნალის ყდისათვის. მითუმეტეს, როცა ეს ჟურნალი დასავლეთგერმანული ოლიმპიური საზოგადოების ოფიციალური ორგანოა და პირდაპირ ასე ეწოდება „ოლიმპიშეს ფეიერ“ — „ოლიმპიური ცეცხლი“. მაგრამ სიმბოლიკა ყდაზე ყველაფერი როდია. ჟურნალის შინაარსი? მასში მოთავსებული მასალები გამთბარია კეთილშობილი ოლიმპიური ცეცხლით? ავიღოთ უკანასკნელი, აგვისტოს ნომერი.

იგი ისეთივე გლუვი, პრიალაა, როგორც სხვა დანარჩენი ნომრები. მასში 28 გვერდია და არც თუ ბევრი მასალები. ყველაზე დიდი სტატია — 7-გვერდიანი, ეკუთვნის გფრ-ის ოლიმპიური საზოგადოების ერთ-ერთ მოღვაწეს ულრიხ პოპლოვს. მაშასადამე, იგი სავსებით შეიძლება ჩაითვალოს ჟურნალის მოწინავედ. სტატია ეძღვნება ვინმე რეინხარდ გეიდრიხს. ამის შესახებ მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს სათაური: „რეინხარდ გეიდრიხი, ანუ წესრიგის აღდგენა სპორტის დახმარებით“. მაგრამ ამაოდ დაშვრებით თუ დაუწყებთ ძებნას გეიდრიხს, სპორტულ ცნობარებს ან სხვადასხვა წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა შორის. სამაგიეროდ ნაცისტ-სამხედრო დამნაშავეთა სიაში, რომელიც გამოქვეყნდა ნიურნბერგის პროცესზე, გეიდრიხის გვარი ერთ-ერთ საპატიო ადგილზე არის დაბეჭდილი. დიახ, „ოლიმპიშეს ფეიერმა“ სტატია უძღვნა ჰიტლერელ „ბოჰემიისა და მორავიის საიმპერიო პროტექტორს“, ჩეხოსლოვაკელი ხალხის ჯალათს, გესტაპოელსა და ჰიმლერის უახლოეს თანამშრომელს. ტყუილად არ უძღვის სტატიას ეპიგრაფად ამ ესესელი ფიურერის სიტყვები: „რეინხარდ გეიდრიხი არასდროს არ ივიწყებდა სახელებს, რომლებიც თუნდაც ერთხელ ამოტივტივდებოდნენ ზედაპირზე. მას შესანიშნავი კომბინაციური უნარი ჰქონდა. ეს იყო ცოცხალი მარეგისტრებელი მანქანა, რომლის ტვინი ყოველგვარ ძაფებს იცნობდა და ხელახლა ერთ კოჭად ჰკრავდა მათ“.

ჰიმლერი არაფერს არ ამეტებდა: გეიდრიხი მართლაც სანიმუშო ფაშისტური ჯაშუში იყო. მის სინდისზეა ასეულათასობით ჩეხოსლოვაკელი პატრიოტის სისხლი, რომლებიც გესტაპოს საპყრობილეებში ეწამნენ. გეიდრიხის პირადი ხელმძღვანელობით ფაშისტმა ჯალათებმა მოაწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დაჭერა. უკანონოდ სჯიდნენ ბავშვებსა და მოხუცებს. 1942 წლის 27 მაისს სისხლიანი პროტექტორი მოკლულ იქნა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის მამაცი მებრძოლების მიერ. ამ სამართლიანი ანგარიშსწორებისათვის ფაშისტებმა შური იძიეს იმით, რომ მიწისპირისგან აღგავეს ჩეხური ქალაქი ლიდიცე, გაანადგურეს ყველა მისი მცხოვრები.

და აი, ახლა, დასავლეთგერმანულმა სპორტულმა ჟურნალმა გაიხსენა ფაშისტი მკვლელი. უფრო მეტიც, ჟურნალი ცდილობს რეაბილიტაცია გაუკეთოს მას. თურმე გეიდრიხი „შესანიშნავი ცხენოსანი და მოფარიკავე იყო“. სწორედ სპორტში მეცადინეობა დაეხმარა მას გამოეგონებინა და ცხოვრებაში გაეტარებინა ადამიანთა განადგურების მეთოდები „ფანტასტური ორგანიზატორული ნიჭით“. ულრიხ პოპლოვი კითხვასაც კი სვამს: „ამრიგად, გამოდის, რომ გეიდრიხი კარგი ყმაწვილი იყო?“ და შემდეგ მსჯელობს ფაშისტური, გადაგვარებული ადამიანის „დადებით“ და „უარყოფით“ მხარეებზე. ჟურნალის ფურცლებზე არაორაზროვნად გატარებულია აზრი, რომ გეიდრიხი დასავლეთგერმანელი ახალგაზრდობისათვის საკმაოდ კარგი იდეალია. ფაშისტი ჯალათის ყველა მოქმედება ერთი ფორმულის ქვეშაა ამოფარებული: „წესრიგის აღდგენა სპორტის დახმარებით“. სისხლიანი „სპორტი“, რომელსაც ფაშისტი მკვლელები ეწეოდნენ, ერთი სიტყვითაც არ არის მხილებული.

ძნელია მოიფიქრო უფრო საზიზღარი საქმიანობა, ვიდრე ჟურნალის გვერდებზე აქო ჯალათი, მაშინ, როცა ჟურნალი მოწოდებულია ოლიმპიური მოძრაობის ჰუმანური იდეების მქადაგებელი იყოს!

ა. გურკოვი,
აპნ-ის სპორტული მიმომხილველი

რედაქტორი ი. უზულავა.

ინგლისური იუმორი

მოკრივე: მე მგონია, რომ რინგიდან გასახდელ ოთახამდე საკმაოდ დიდი მანძილია.

მოწინააღმდეგე: დიახ, მაგრამ თქვენ უკან დაბრუნება ფეხით არ მოგიხდებათ.

• • •

— რა წარმატება გქონდათ ინდოეთში, ვეფხვებზე ნადირობის დროს?

— მეტად მნიშვნელოვანი, ორი კვირის განმავლობაში არც ერთი ვეფხვი არ შემხვედრია.

თარგმნა მ. ცინაძემ.

14 და 16 ოქტომბერი

საერთაშორისო შეხვედრა
თავისუფალ ჭიდაობაში

საქართველო - ირანი

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 00787